საექსპერტო დასკვნა

ანგარიშზე ,,ქ. თბილისში, ქურდიანის ქ. №2-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, 17 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობები".

შ.პ.ს. ,,ჯეო ლიტ ინვესტი"-ს ხელმძღვანელობის თხოვნით ჩვენს მიერ 2016 წლის ივნისში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, ქურდიანის ქ. №2-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, 17 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური გამოკვლევების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, ქურდიანის ქ. №2-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, 17 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში ამჟამად მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შ.პ.ს. ,,ახალი საქქალაქმშენპროექტი"-ს გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2016 წლის მარტში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი ინჟ. გეოლოგი ნ. ილაშვილი. ძირითადი ქანების თვისებები განსაზღვრული იქნა გ. წულუკიძის სამთო საქმის ინსტიტუტში.

საექსპერტოდ გადმოცემულია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე---------- 8გვ.
2. ტექნიკური დავალება---------- 1გვ.
3. მიწერილობა---------- 1გვ.
4. ცხრილი კლდოვანი გრუნტების თვისებებზე----------2გვ.
5. მოედნის ტოპოგეგმა ---------- 1ფურც
6. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები ---------- 2ფურც
7. მოედნის გეოლოგიური ჭრილები---------- 3ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 17 სართულიანი საცხოვრებელი სახლი, სარდაფის სართულებით. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში, შევსება იქნება აგურით ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკვლის კონსტრუქციას, იგი გადაწყდება შენობის მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად, ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით, გაყვანილი იქნა 7 ჭაბურღილი, მათი საერთო სიგრძე შეადგენს 51.0 მეტრს. ჭაბურღილებიდან ამოღებული იქნა ნიმუშები მათი თვისებების დასახასიათებლად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე საკვლევ მოედანზე გამოყოფილი იქნა გეოლოგიურ ჭრილში გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 – ტექნოგენური გრუნტი
2. ფენა 2 – თიხნარი
3. ფენა 3 – გამოფიტული არგილითები და ქვიშაქვები
4. ფენა4 – ნაკლებად გამოფიტული არგილითები და ქვიშაქვები

ვინაიდან სარდაფის სართულები ღრმად ჩადის მიწაში, ფენა 1 და ფენა 2 იღება და ამიტომ მათი თვისებები არ გამოკვლეულა. რაც შეეხება ფენა 3-სა და ფენა 4-ს, ისინი წარმოდგენილი არიან ძირითადი ქანებით არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობით. მათი თვისებები გამოკვლეული იქნა საქართველოს გრიგოლ წულუკიძის სახელობის სამთო საქმის ინსტიტუტში. ავტორი იძლევა წინადადებებს ფუძე-გრუნტების შერჩევის თაობაზე.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გამოკვლეულ სიღრმემდე არ დაფიქსირებულა.

დ ა ს კ ვ ნ ა

ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური გამოკვლევები ქ. თბილისში, ქურდიანის ქ.№2-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, 17 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე, აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების მოთხოვნებს. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. ამრიგად წარმოდგენილი ანგარიში შეიძლება დაედოს მშენებლობის პროექტს საფუძვლად საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების
მიმართულების ხელმძღვანელი,
ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი /გ. ჭოხონელიძე/